08/04/2026

MES 1 26 0000423081

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სულხან - საბაორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა:
ირმა წაქაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლა:
მარინე ათანელიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლა:
თენგიზ ოსეფაიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა:
ნინო კაშია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზურაბ იარაჯულის სახელობის თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლა:
ზვიად გიანაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა:
მზია ვაშალომიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლა:
ლიანა ჯღარკავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლა:
ჰამლეტ ხუბულია - სკოლის დირექტორი
სსიპ - თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა:
მანანა კვიციანი - სკოლის დირექტორი
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა:
ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 25 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ზურაბ იარაჯულის სახელობის თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6.სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7.სსიპ- ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8.სსიპ- კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9.სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10.სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - სულხან - საბ აორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 03 და 04 თებერვალს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749029 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1210 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 882.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ ჰქონდათ აკადემიური პერსონალისთვის ცნობები სრულყოფილად წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მოგვარებული იყო, თუმცა ინფორმირების მიზნით ცენტრში არ ჰქონდათ წარდგენილი.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით შესრულების ვადები როგორი თანმიმდევრობით იყო გაწერილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, თუმცა მოცემულ მომენტში აღნიშნული საკითხი სკოლას გამოსწორებული ჰქონდა და ცენტრში წარმოდგენილი იყო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესწორებული გეგმა.

საბჭოს წევრმა, ნონ ჩუბინიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული, რომ ორი წლის განმავლობაში სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგი არ განხორციელდა. ასევე, კითხვა შეეხოო მოწვეული მასწავლებლის საკითხს, თუ რამ განაპირობა სკოლაში მოწვეული მასწავლებლის არსებობა.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე ჰქონდათ ვაკანსია გამოცხადებული და საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სკოლაში ჰყოლოდათ მოწვეული მასწავლებელი. დოკუმენტებთან მიმართებით კი მიუთითა ტექნიკური ხარვეზის არსებობაზე და განმარტა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სკოლა აქტიურად მუშაობდა ხარვეზების გამოსწორებაზე.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ ვის მიერ იყო სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმა სამეურვეო საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული.
ნონა ჩუბინიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, სტრატეგიული გეგმის შესრულების ნაწილში, მონიტორინგის ჯგუფი რა შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჯგუფში შედიოდნენ, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, თერთმეტი წამყვანი პედაგოგი, მშობელი, სკოლის ექიმი და საინფორმაციო მენეჯერი.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, ჰკითხა სკოლის წარმომადგენელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იყო თუ არა ამწოვი კარადა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ლაბორატორიაში აღნიშნულის არარსებობა.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა სკოლაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა არსებობის შესახებ და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რამდენად უწყობდა სკოლა ხელს მათ ინტეგრირებას. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლაში 121 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე იყო და სკოლა ზრუნავდა მათ სრულფასოვან განვითარებაზე სხვადასხვა აქტივობებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის,

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის (ს/კ: 225361202) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში მეთოდოლოგიის შესაბამისად 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებისა და სტრატეგიული გეგმის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების, აგრეთვე 2026 წლის აპრილში დასაქმებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების, 2028 წლის იანვარში კვალიფიციური ექიმის დასაქმებისა და სრულად ინკლუზიური გარემოს შექმნის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა და ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15: 07

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრამდე.

3. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და შიდა სპორტული მოედნის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და შიდა სპორტული მოედნის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა, სკოლას გადადგმული ჰქონდა ქმედითი ნაბიჯები, რაც დასტურდებოდა შესაბამის უწყებებთან მიწერილი კორესპონდენციებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს კითხვით, თუ რომელ წელს იყო სკოლა აშენებული და ჰქონდა თუ არა სკოლას შიდა სპორტული დარბაზი.
სკოლის წარმომადგენელმა, თენგიზ ოსეფაიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა 2021 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, მაგრამ შიდა დარბაზი დაგეგმარებაში გათვალისწინებული არ ყოფილა და სკოლას ჰქონდა მხოლოდ გარე სპორტული მოედანი.
საბჭომ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და შიდა სპორტული მოედნის მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 07
დასრულების დრო: 15: 12

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-8 ნაწილში და დაწესებულებამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და შიდა სპორტული მოედნის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ცენტრში წარმოადგინოს 2027 წლის მარტში, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრამდე.

4. სსიპ - ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა დაფიქსირა პოზიცია და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის სკოლა აქტიურად მუშაობდა, თუმცა დასკვნის მოპოვება დაკავშირებული იყო დიდ ფინანსებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 12
დასრულების დრო: 15: 17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრამდე.

5. სსიპ - ზურაბ იარაჯულის სახელობის თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-3 (ცვლილება: 01/08/2024, N932465) ნაწილის საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა რესურსოთახის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაცის უსაფრთხოების დასკვნა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა წარმოდგენილ დასკვნაში შენობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

სკოლის წარმომადგენელმა, ზვიად გიანაშვილმა აღნიშნა, რომ საევაკუაციო გასასვლელები მოეწყო სკოლის შენობაში, სრულად რეაბილიტირდა სახანძრო სისტემა და აღჭურვილობა. ასევე, სკოლაში მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმებოდა ლიფტის მოწყობა, რასაც უზრუნველყოფდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა და ადაპტირებული გარემო) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 17
დასრულების დრო: 15: 23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა და ინკლუზიური გარემოს შექმნის მტკიცებულებები ცენტრში წარმოადგინოს მოპოვებისთანავე.

6. სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მე-6 ნაწილის (ცვლილება: 28/05/2024, N587626) საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის სექტემბრიდან ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობისა და სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობის დამადასტურებელი მტკიცებულება) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 23
დასრულების დრო: 15: 27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ცენტრში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა.

7. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 28 სექტემბრის N1258417 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბერში ცენტრში წარმოედგინა სველ წერტილებთან მისასვლელ ფოიეში დამონტაჟებული ვიდეო-კამერების დემონტაჟის, კიბის უჯრედებში ვიდეო-კამერების დამატების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, პანდუსის მოწყობის, ვებ-გვერდის გააქტიურებისა და შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა სველ წერტილებთან მისასვლელ ფოიეში დამონტაჟებული ვიდეო-კამერების დემონტაჟის, კიბის უჯრედებში ვიდეო-კამერების მონტაჟის, ვებ-გვერდის გააქტიურების მტკიცებულებები და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა დაფიქსირა პოზიცია და განმარტა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სველ წერტილებთან მისასვლელ ფოიეში დამონტაჟებული ვიდეო-კამერების დემონტაჟის, კიბის უჯრედებში ვიდეო-კამერების მონტაჟის, ვებ-გვერდის გააქტიურების მტკიცებულებები და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 28 სექტემბრის N1258417 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 27
დასრულების დრო: 15: 30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2024 წლის სექტემბრის N1258417 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ მტკიცებულებები ცენტრში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე,

8. სსიპ- კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-6 ნაწილის (ცვლილება 2024 წლის 01 აგვისტო N932465) საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები და ლაბორატორიების აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ლაბორატორიების აღჭურვა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 31
დასრულების დრო: 15: 36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ 2027 წლის მარტში წარმოადგინოს ლაბორატორიების აღჭურვის მტკიცებულებები, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

9. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 მე-7 ნაწილის საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სკოლის მიერ შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ამსახველი დოკუმენტი, ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმი, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსის ქონის მტკიცებულებები, საევაკუაციო გეგმის განთავსების, სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი აღჭურვის, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის ასახვის და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაზე დაფუძნებული მექანიზმების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მიერ შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ამსახველი დოკუმენტი, ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმი, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსის ქონის მტკიცებულებები, საევაკუაციო გეგმის განთავსების, სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი აღჭურვის, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის ასახვის და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაზე დაფუძნებული მექანიზმების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
სკოლის წარმომადგენელი შეხვედრას არ ესწრებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15: 37
დასრულების დრო: 15: 45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა ცენტრში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის დეკემბრისა.

10. სსიპ - თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ

დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 იანვარს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N1674641 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 67.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და ითხოვა დაზუსტება, თუ როგორ ტარდებოდა სკოლაში სპორტის გაკვეთილები, როცა დარბაზში არ იყო შესაბამისი პირობები, კერძოდ გათბობა და გასახდელი ოთახები.
სკოლის წარმომადგენელმა, მანანა კვიციანმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ინფორმირებულები იყვნენ შესაბამისი უწყებები და ელოდებოდნენ პრობლემის აღმოფხვრას.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა პოზიცია ჰქონდათ სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ აღნიშნა, რომ ზამთარში სკოლის სპორტდარბაზი ელექტრო გამათბობელით თბებოდა. შესაბამისი უწყება აღნიშნულზე ინფორმირებული იყო, სწორედ ამ მიზნით მოხვდა სპორტდარბაზის სათანადოდ მოწყობა რჩევით კომპონენტში.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სკოლის ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების საკითხთან დაკავშირებით, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოწესრიგების საკითხი რა ეტაპზე იყო, რომლის შესრულების თარიღადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2026 წლის პირველი აპრილი იყო განსაზღვრული.
სკოლის წარმომადგენელმა, მანანა კვიციანმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მდგრადობის დასკვნა. სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ელოდებოდნენ აღნიშნულის მოწესრიგებას დათქმულ ვადაში. რაც შეეხებოდა შენობა-ნაგებობას, რომელიც იდგა სკოლის ტერიტორიაზე, იგეგმებოდა შენობის კარების ამოშენება უახლოეს დღეებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, სამხარაულის დასკვნის მიხედვით, რამდენად უსაფრთხო იყო შიდა სპორტული დარბაზი მოსწავლეებისთვის.
სკოლის დირექტორმა, მანანა კვიციანმა აღნიშნა, რომ დარბაზი დასკვნის საფუძველზე უსაფრთხო იყო მოსწავლეებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ქონდა თუ არა სკოლას შესაძლებლობა, სპორტის გაკვეთილებისთვის

დროებით სხვა ფართი გამოეყენებინა, რადგან დასკვნის შინაარსზე დაყრდნობით, სპორტული დარბაზის და ფლიგელის გასასვლელის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შენობები დეფორმირებული, ხოლო ცალკეული ზონები ავარიული და საფრთხის შემცველია. ისინი საჭიროებენ გამაგრებით სამუშაოებს.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი და ამინდის შესაბამისად, მასაც იყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:46
დასრულების დრო: 15:59

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლის (ს/კ: 230867005) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, სკოლის ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი ძველი ნაგებობების მოწესრიგების, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და სკოლის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

შიდა სპორტულ დარბაზთან მიმართებით, საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სკოლის მოსწავლეებს არ ესარგებლათ შიდა სპორტული დარბაზით, არსებული ხარვეზების გამოსწორებამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე